პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 76
(6887)

19

1981 წ.
აპრილი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გუშინ მთელს ჩვენს ქვეყანაში დიდი აღმავლობით ჩატარდა შრომის დღესასწაული— ლენინური შაბათობა

ქუდზე კაცი!

ასეა მუდამ, ჩვენი რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის, სხვა ქალაქების ფიზკულტურის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების თანამშრომლები, სპორტული სკოლების წარმომადგენლები, სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ ლენინურ შაბათობაში.

გუშინაც თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში... ფიზკულტურელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში და მორიგი აგური დადეს XI ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატის ბაზებზე, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, აუზში, ფიზკულტურის სასახლეში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ბაზებზე, ცენტრალურ ველოდრომზე... ყველგან დილიდანვე გაჩაღდა შაბათობა, რომელიც ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა: აქ არავის ჰქონდა ნორმები, საგანგებო დავალებანი, ყველა, როგორც ერთი, გულმოდგინედ მუშაობდა ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, ნარჩენების გატანაზე, ნარგავთა გამრავლებაზე, ბაზების მოწესრიგებაზე.

მარტო ცენტრალურ ველოდრომზე თანამშრომელთა, ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა, რესპუბლიკის ნაკრების სპორტსმენთა 200-კაციანი რაზმი საქმიანობდა ბაზის კიდევ უფრო გამშვენიერებაზე.

— ჩვენთან 150-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა აუზის, ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზების, მძლეოსნობის მანეჟის მიდამოებში გამართულ შაბათობაში, ზოგიც ხვალ წაიმუშავებს, —გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექტორმა ი. მეტრეველმა.

სურათებზე: შაბათობის ამსახველი მომენტები (მარცხნიდან) ცენტრალური ველოდრომის მიდამოებში; ვაკის აუზთან; ფალავანთა კლუბის ეზოში.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

საბჭოთა საქართველო 60

ერთნაირი ანგარიშით.

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ოთხი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდური მატჩ-ტურნირის III ტურის შეხვედრები.

უკრაინა—ლატვიის გუნდების მატჩის ანგარიშია 2,5:2,5 და 3 გადადებული პარტია. ჩინებულად ითამაშეს ლატვიელებმა ი. კლოვანმა და ი. პეტკევიჩმა, რომლებმაც სძლიეს შესაბამისად ქ. ლერნესა და ვ. მალანიუკს. თანაგუნდელთა მარცხის რევანში აიღეს მ. პოდგაეცმა (მოუგო ვ. ვიტკევიჩს) და ზ. ლელჩუკმა (სძლია ი. პრიედიტეს). ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. სემიონოვა და ა. გოლდმანე.

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ლენინგრადი — საქართველოს მოჭადრაკეთა მატჩში, რომელიც შეწყდა ანგარიშით 2,5:2,5. 3 პარტია გადაიდო.

პირველი ყაიმით დამთავრდა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის ი. ლევიტინასა და მსოფლიოს ექსჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა. ასევე დაზავდნენ ა. ლუკინი — ე. გუფელდი და მ. ცეიტლინი — ე. უბილავა.

გ. ზაიჩიკმა (საქართველო) მოუგო ი. პოლოვოდინს, ბ. გურგენიძე დამარცხდა ვ. ოსნოსთან.

გადადებულ პარტიებში ზ. სტურუას უკეთესი პოზიცია აქვს ა. ერმოლინსკისთან, ვ. ფაიბისოვიჩს — ზ. აზმაიფარაშვილთან და ე. ბაგინსკას — ქ. მელაშვილთან.

3 ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა: ლენინგრადი —9,5 ქულა და 5 გადადებული პარტია, უკრაინა — 9 (6), საქართველო— 7 (13), ლატვია — 4,5 (12).

დღეს გაიმართება I ტურის გამოტოვებული საქართველო — ლატვიის გუნდების მატჩი და უკრაინა — ლენინგრადის შეხვედრაში გადადებული პარტიის დამთავრება.

სტუდენტური დღეები · СТУДЕНЧЕСКИЕ ДНИ
XXVI
· 1981 ·

ახალ კომპლექსში

წლევანდელი სტუდენტური დღეების პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზკულტურასა და სპორტს. ყველა უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა დროს გაიმართება ტურისტული ლაშქრობანი, მშთ მრავალჭიდელთა შეჯიბრებები, ტურნირები სპორტის ცალკეულ სახეობებში.

დიდი მასშტაბის ტურნირებიც ხშირად მოეწყობა. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანია ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლეჟავას ტრადიციული მემორიალი ჩოგბურთში.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ახალ სპორტულ კომპლექსში 2 საქალაქო შეჯიბრება გაიმართა: აქ ჩატარდა „სტუდენტური დღეების“ პროგრამით გათვალისწინებული დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა და ხელბურთელთა ტურნირები. მხატვრულ ტანვარჯიშში სარბიელზე გამოვიდნენ უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები.

ოსტატთა შორის სამივე საპრიზო ადგილი უნივერსიტეტის სტუდენტებს ხვდათ წილად. პირველი პრიზი მოიგო ლ. დოლიძემ, რომელმაც მრავალჭიდში 38,25 ქულა მოაგროვა და 0,75 ქულით ჩამოიტოვა მ. მორბედაძე. მესამე იყო მ. გუნია — 36,9.

პირველთანრიგოსანთა შორის ყველაზე კარგად გამოვიდნენ უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები ლ. ტყებუჩავა და ი. ატოევა.

ხელბურთელთა შეჯიბრებაში ვაჟთა ექვსი გუნდი იბრძოდა — უნივერსიტეტის, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების, აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კოლექტივი. მათ შორის საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: სამედიცინო ინსტიტუტი, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, სპი-ს მეორე ნაკრები.

სტუდენტური დღეების სპორტული ციკლი გრძელდება.

ქ. ჯიმშელაძე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ახლადარჩეული გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ნ. ენუქიძემ.** მან აღნიშნა, რომ ქართველ კინემატოგრაფისტთა ფორუმმა ჩაიარა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

პლენუმმა აირჩია საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივნები.

რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად კვლავ აირჩიეს **ე. ნ. შენგელაია.**

კავშირის გამგეობის მდივნებად აირჩიეს **გ. ე. დვალიშვილი, თ. ე. აბულაძე, მ. ა. კოკოჩაშვილი, გ. ვ. პატარაია, ლ. ლ. ღოღობერიძე, ო. მ. გვახალია.**

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივნად საორგანიზაციო საკითხებში დაამტკიცეს **დ. ი. ბილანიშვილი.**

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს **ვ. რ. გახოკიძე.**

პლენუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პრეზიდიუმი 22 კაცის შემადგენლობით.

● საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

კიმანოიანი ფალავნები

ინტერვიუ შეჯიბრების შემდეგ

როგორც ვიტყობინებოდით, ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა 1962-63 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის 20-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა და ორი მათგანი ჩემპიონი გახდა, ორმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, სამმა კი — ბრინჯაოსი.

პირველობის შედეგებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ბ. მაზიაშვილი:**

— ტურნირში, ფაქტიურად, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჭაბუკი ძიუდოისტები ჩაებნენ — თითოეულ წონით კატეგორიაში 30-ზე მეტი მოჭიდავე გამოდიოდა. ამიტომ იყო, რომ მონაწილენი ჯერ ქვეჯგუფებში წრიულად ასპარეზობდნენ, შემდეგ კი ოლიმპიური სისტემით აგრძელებდნენ შეჯიბრებას. პირველობისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ივლისში ბრაზილიაში გაიმართება იუნიორთა I მსოფლიო ჩემპიონატი. ბუნებრივია, თითოეული ძიუდოისტი ცდილობდა შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოევლინა და ქვეყნის ნაკრებში დამკვიდრებულიყო. ასეთი კონკურენციის პირობებში ქართველმა სპორტსმენებმა საკმაოდ სტაბილური შედეგები აჩვენეს. **ოქროს მედლები მოიპოვეს** ბურევესტნიკელმა **ჯ. მეძღლიშვილმა** (86 კგ) და დინამოელმა მძიმეწონოსანმა **ა. კიბორძალიძემ.** აღსანიშნავია, რომ მეძღლიშვილმა ფინალში თანამემამულე ბ. ფირცხელანი („დინამო“) დაამარცხა. **ფირცხელანსა** და **გ. გოგოლაურს** (65 კგ, ასკ) **ვერცხლის** მედლები გადაეცათ. **III ადგილებზე** გავიდნენ ბურევესტნიკელები **ბ. ბუხიშვილი** (65 კგ), **თ. ნიორაძე** (95 კგ) და არმიელი **გ. კობერიძე** (აბსოლუტური კატეგორია). შვიდივე პრიზიორი დასახელებულია საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატად.. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა მაისში, ბაქოს საერთაშორისო ტურნირის შედეგად დადგინდება.

ჩვენ, მწვრთნელები, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ ქართველ ჭაბუკთა გამოსვლით, თუმცა აქვე მინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილო ყურადღება: სადღეისოდ აშკარად შეიმჩნევა ჩვენი ძიუდოისტების სხვადასხვა ქალაქებში გადაბირების ტენდენცია და თუ ზომები არ მივიღეთ, ამან შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, ამ ტურნირში ოდესის სახელით 4 მესტიელი მოჭიდავე გამოდიოდა; ლ. ნაკანი ჩემპიონი გახდა, არც დანარჩენები გამოსულან ურიგოდ. მახაჩკალაში გადავიდა ყვარლელი კ. მურთუზოვი, რომელიც ასევე ჩემპიონი გახდა. კიევის ღირსებას იცავდა გ. აკოფოვი (III ადგილი).

რატომ ტოვებენ ჩვენი აღზრდილი ფალავნები რესპუბლიკის ფარგლებს? ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მათ იქ უკეთეს პირობებს უქმნიან. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ცხოვრების დიდ გზაზე გადის, არჩევანის გაკეთებისას ყველა ამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას და თუ ზრუნვას მოვაკლებთ, ნურც ის გაგვიკვირდება, რომ ქუდი დაიხუროს და სხვაგან წავიდეს. ახლა რესპუბლიკის ნაკრები მთავარ შევსებას სვანეთიდან ღებულობს და ეს რეგიონი განსაკუთრებულ ყურადღებასა და დახმარებას მოითხოვს.

ბ. ელგუჯაური.

* * *

სურათებზე: ჯ. მეძღლიშვილი (მარცხნივ) და ა. კიბორძალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

პირველი „რეკორდსმენები“

—სწორდით! მოედნებისკენ ნაბიჯით იარ! — ისმის აღმზრდელ ლ. ლევჩენკოს ბრძანება და ნორჩებიც მხნედ მიაბიჯებენ დანიშნული ადგილისკენ. პატარებს ერთი სული აქვთ, როდის მივლენ ფინიშთან, როდის გააჩაღებენ ფეხბურთს, კალათბურთს.

რუსთავის № 16 ბაგა-ბაღში ამგვარი სურათის მოწმე ხშირად გახდებით. მეტალურგთა ქალაქში პირველად აქ შეიქმნა ნორჩთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ამას წინ უძღოდა სპორტული კომპლექსის მოწყობა, კომპლექსისა, რომელსაც აქვს საფეხბურთო მინდორი, კალათბურთის მოედანი, სახტომი სექტორი, სარბენი ბილიკები... ისინი მინიატურულია, ბავშვებისთვის შესაფერი და ნორჩებიც კმაყოფილნი არიან.

ეს იდეა ლევჩენკოს ეკუთვნის. მის განსახორციელებლად მან საკმაო ძალა და ენერგია დახარჯა.

— ლევჩენკომ გაგვისპორტსმენა ასაზრდელები, — გვეუბნება ბაგა-ბაღის გამგე ა. გელაშვილი, — იგი ორი წლის წინათ ჩამოვიდა კალინინიდან. პირველთანრიგოსანია სათხილამურო სპორტში. შესანიშნავი იდეები შემოგვთავაზა. ალბათ მალე საჭყუმპალაოსაც მოვაწყობთ...

ბაგა-ბაღს თავისი პირველი რეკორდსმენებიც ჰყავს: 5 წლის გია იმერლიშვილი 82 სმ-ის სიგრძეზე გადახტა, 4 წლის ზოია უდოვჩენკოს რეკორდი 65 სმ-ია...

ნორჩებს დილიდან საღამომდე არ სწყინდებათ თამაში, ტანვარჯიშულ კედელზე ცოცვა, მაგრამ ლიუდმილა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მოზარდების გადაღლა არ შეიძლება და აქედანვე აჩვევს მათ დისციპლინას, რეჟიმს, უნერგავს სპორტისადმი სიყვარულს.

გვჯერა, რომ ბაგა-ბაღს შეფი, რუსთავის საშენ მასალათა კომბინატი, კვლავაც დაეხმარება ბაზების კეთილმოწყობაში.

რ. გაბრიჭიძე.

* * *

სურათებზე: ნორჩების მორიგი მეცადინეობის მომენტები. ავტორის ფოტოები.

ყველაზე საპატიო ფიზკულტურული ორდენი



ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР
50
წელი

კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვმა მშთ-ს ნიშანს ყველაზე საპატიო ფიზკულტურული ორდენი უწოდა. თავის დაბადებას ეს ნიშანი კომკავშირს, უფრო ზუსტად, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ უნდა უმადლოდეს. 1930 წლის 24 მაისს, არსებობის 5 წლისთავზე გაზეთი წერდა, რომ სოციალიზმის მშენებლობის პირობებში ფიზიკური აღზრდის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის განმტკიცება და ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება. „თითოეულ მშრომელს მაგარი კუნთები და მახვილი თვალი სჭირდება. ყოველ კომკავშირელს, ფიზკულტურელს თუ მშრომელს უნდა შეეძლოს რბენა, ცურვა, სროლა, ყუმბარის ტყორცნა“, — ასე მიაჩნდა გაზეთს, როცა თავისი წინადადება — ახალგაზრდობის ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების შესაფასებლად ერთიანი ნორმებისა და მოთხოვნების დაწესება, ხოლო ამ ნორმების შემსრულებელთა სპეციალური ნიშნით — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ —დაჯილდოება მკითხველთა განსახილველად წამოაყენა.

ამ თაოსნობამ სპორტული საზოგადოებრიობის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. მთელ ქვეყანაში დაიწყო კომპლექსის პროექტის განხილვა. ფიზკულტურის საკავშირო საბჭომ ლენინური კომკავშირის წინადადება დროულად და სწორად ჩათვალა და 1931 წლის 11 მარტს დაამტკიცა მშთ კომპლექსის ნორმები.

თავდაპირველად შემუშავდა კომპლექსის პირველი, მასობრივი საფეხური, რომელიც 15 ნორმისგან შედგებოდა. მასში შედიოდა ცურვა, რბენა, ხტომა, ღერძზე აზიდვა, ყუმბარის ტყორცნა და სხვ. კომპლექსი ითვალისწინებდა აგრეთვე საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძვლების, სამხედრო და სანიტარული საქმის ცოდნას, პირველი დახმარების აღმოჩენისა და თვითკონტროლის უნარს.

ნორმების ჩასაბარებლად დაიშვებოდნენ ვაჟები 18, ხოლო ქალები 17 წლის ასაკიდან.

1932 წელს კომპლექსს დაემატა მეორე 25-პუნქტიანი საფეხური. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელებმა ჩვენს ქვეყანაში პირველებმა ჩააბარეს ამ საფეხურის ნორმები.

მშთ-ს სამკერდე ნიშანი საბჭოთა მოქალაქეების თვალში იყო ადამიანის ჯანმრთელობისა და ძალის, მისი მრავალმხრივი ფიზიკური მომზადების სიმბოლო. ასეთი მომზადება კი, როგორც ცნობილია, დამკვრელური შრომის კარგი საყრდენია. შემთხვევითი არ არის, რომ იმ წლებში მშთ ნიშნოსანთა შორის იყვნენ ჩვენი საუკეთესო მუშები — ტრაქტორისტი ქალი პაშა ანგელინა, მარიუპოლის ქარხნის მეფოლადე მაკარ მაზაი, დონეცკელი მეშახტე ალექსეი სტახანოვი და ბევრი სხვა შრომის ნოვატორი. აი, რას წერდა სტახანოვი ფიზკულტურის როლზე:

„ფიზკულტურა ნებისმიერი მუშაკის ერთგული თანაშემწეა. იგი ამხნევებს ადამიანს, ეხმარება მას ახალი ძალა მოიკრიბოს დამკვრელური შრომისთვის სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

1934 წელს კომპლექსს მოსწავლეთათვის დაემატა კიდევ ერთი საფეხური „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისთვის“. ამ კომპლექსმა ასიათასობით მოზარდი აზიარა სპორტს. მათგან ნიჭიერებს შესაძლებლობა მიეცათ ბავშვთა სპორტულ სკოლებში დაეხვეწათ ოსტატობა. პირველი ასეთი სკოლები შეიქმნა მოსკოვსა და თბილისში.

მოსწავლეთათვის ნორმატივების დამტკიცებით დამთავრდა ერთიანი საკავშირო კომპლექსის ყველა საფეხურის გაფორმება. მშთ კომპლექსი გახდა ფიზიკური კულტურის საბჭოთა სისტემის საფუძველი და მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში. კომპლექსის მასობრივმა ჩაბარებამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონები — ტანმოვარჯიშე ვ. ჩუკარინი, მორბენალი ვ. კუცი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ა. მედვედი, მოკრივე ბ. ლაგუტინი. საერთო ფიზიკური მომზადებით დაიწყეს კოსმოსისკენ მიმავალი გზა ი. გაგარინმა, გ. ტიტოვმა, ა. ნიკოლაევმა, პ. პოპოვიჩმა, ა. ლეონოვმა და სხვა კოსმონავტებმა.

გადიოდა წლები. ქვეყანასთან ერთად ვითარდებოდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა. აუცილებელი გახდა მშთ საკავშირო კომპლექსი კრიტიკულად გადასინჯულიყო. 1939 წლის ნოემბერში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მშრომელთა ფიზიკური მომზადების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაამტკიცა ახალი სრულყოფილი კომპლექსი, რომელიც 1940 წლიდან შევიდა ძალაში. ნორმების რაოდენობა და მოთხოვნები შემცირდა, თანაც ორ ნაწილად გაიყო: სავალდებულო და არჩევითი ნორმები. სავალდებულო ნორმების ჯგუფში შედიოდა ჰიგიენური ტანვარჯიში და საერთო განმავითარებელი და გამოყენებითი მნიშვნელობის მთელი რიგი ვარჯიშები: ღერძზე მიზიდვა, ბაგირზე ცოცვა, კროსი, ცურვა, წინაღობათა გადალახვა, თხილამურებით სიარული და სროლა.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებისა და მასობრივი ფიზკულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის დადგენილებამ. ასრულებდნენ რა დადგენილებას, ჩვენი მეცნიერები წლების განმავლობაში სწავლობდნენ სხვადასხვა პირობებში მშთ კომპლექსით მოვარჯიშეთა გამოცდილებას. 1955 წელს შემოღებულ მშთ კომპლექსში გათვალისწინებული არ იყო ნორმატივების დაყოფა სავალდებულოდ და არჩევითად. დადგინდა ყველასთვის ერთიანი სავალდებულო ნორმები. „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისთვის“ კომპლექსი შეიცავდა 10-ს, მშთ-ს პირველი საფეხური — 12-ს, ხოლო მეორე — 11 ნორმას.

შემდგომში, სასკოლო პროგრამებისა და სპორტული კლასიფიკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, აუცილებელი შეიქნა მშთ კომპლექსის ნორმატივები უფრო მოხერხებულად შერწყმოდა ფიზკულტურისა და სპორტის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამას. ეს ამოცანა გადაჭრა მშთ ახალმა კომპლექსმა, რომელიც 1959 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში. შემოღებულ იქნა შედეგების შეფასების ახალი სისტემა. მაგალითად, 14-15 წლის მოზარდებისთვის გათვალისწინებულ „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისთვის“ კომპლექსში 7 ნორმატივი შედიოდა. მშთ-ს პირველი საფეხური გამიზნული იყო 15-18 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის. ამ ნორმატივების შესრულება ხელს უწყობდა მოსწავლეთა და მუშა ახალგაზრდობის ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას. მშთ-ს მეორე საფეხური, იგივე ნორმატივებს შეიცავდა, როგორსაც პირველი, მაგრამ უფრო მაღალი იყო მოთხოვნები. იგი გათვალისწინებული იყო 19 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებისთვის.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საჭირო გახდა მოსახლეობის ფიზიკური მომზადების ახალი, გადიდებული მოთხოვნები. 1972 წლის მარტში ძალაში შევიდა მშთ-ს ახალი კომპლექსი, რომელიც საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცების ეფექტური საშუალება, ძალისა და სიმხნევის წყარო გახლავთ. (საკდესი).

წარსულიდან...

უნივერსიტეტის კალათბურთის დარბაზის შესასვლელთან დიდხანს ეკიდა მოზრდილი ფოტოსურათი (იხ. ფოტო), იმდენად დიდხანს, რომ სპორტსმენებმა და მწვრთნელებმაც თვალი ისე შეაჩვიეს, რომ... ვეღარც კი ამჩნევდნენ. მხოლოდ სტუმრად მისული კაცი თუ აქცევდა ძველ ფოტოს ყურადღებას, თუმცა ცნობისმოყვარეობას ვერ დაიკმაყოფილებდა, რადგან უნივერსიტეტში ამ ფოტოს ისტორია არავინ იცის.



ერთნი ამბობდნენ, ალბათ ეს ფოტო 30-იან წლებშია გადაღებული უნივერსიტეტის ეზოშიო, მეორენი ვარაუდობდნენ, კარატისტები თუ არიანო (წელზევით შიშველი ჭაბუკების პოზა მართლაც მოგვაგონებთ კარატეს ილეთს). დიდი კითხვა-კითხვის შემდეგ გიორგი მერკვილაძესთან მოვხვდი —ქართული სპორტის ამაგდარ, 84 წლის ვეტერან ტანმოვარჯიშესთან. იგი საქართველოში სპორტის განვითარების ცოცხალი მატიანეა. მხოლოდ მან შეძლო ძველი ფოტოსურათის ამოცნობა:

— ეს ფოტო 1912 წელს არის გადაღებული ქართული გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) ეზოში, — თქვა ბატონმა გიორგიმ. მაშინ გიმნაზიის რექტორი ალექსანდრე მდივანი გახლდათ, შემდგომში უნივერსიტეტის პროფესორი. წელსზევით შიშველი ჭაბუკები უფროსკლასელი გიმნაზიელები არიან და აკრობატული კრივის საბრძოლო ილეთს ასრულებენ. შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი შლაპიანი კაცი, მათ მოპირდაპირე მხარეს რომ დგას, გიორგი ეგნატაშვილია, საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების ამაგდარი. უკანა პლანზე გიმნაზიელები და მათი მშობლები მოჩანან. ასეთი საჩვენებელი გამოსვლები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს იმართებოდა ხოლმე. როცა ფოტოგრაფმა ეს სურათი გადაიღო, შემდეგ ეგნატაშვილმა „პირამიდა აგვაშენებინა“, პირამიდის შუა ამართულ ჭოკზე მე ავძვერი, ჭოკის ბოლო იღლიაში ამოვიდე და მიტყუპებული ფეხები გვერდზე გავწიე (ამას „დროშა“ ერქვა). ალბათ გაინტერესებთ ვინ არიან ეს მოვარჯიშე ჭაბუკები. მხოლოდ ზოგიერთების გვარებს თუ გავიხსენებ, მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ლორთქიფანიძე (შემდგომში რესპუბლიკის მთავარი მეტალურგი), ინასარიძე (ცნობილი ექიმი), ჯავრიშვილი (ბალეტმეისტერი), ციციშვილი (ცნობილი ტანმოვარჯიშე, შემდეგ კი მწვრთნელი), ლაფერაშვილი (ექიმი) და სხვანი, სამწუხაროდ მათი სახელები აღარ მახსოვს.

აი, ასეთია უნივერსიტეტის კალათბურთის დარბაზის შესასვლელთან გამოკრული ამ ძველი ფოტოსურათის ისტორია.

თ. ჭეიშვილი.

ხალიჩაზე — პატარები

ქალაქის ჭიდაობის სპორტული სკოლის დარბაზში დამთავრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ბათუმის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ათლეტთა შორის დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!“

აქ სპორტსაზოგადოებებისა და სპორტული სკოლების 70-ზე მეტი ფალავანი ასპარეზობდა. ამ ტურნირს საფუძველი ჩაუყარა ბათუმის განათლების განყოფილების ჭიდაობის სპორტული სკოლის კოლექტივმა. ამიერიდან იგი ყოველწლიურად გაიმართება. შეჯიბრება საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. დოლიძემ, ზ. მახარაძემ, ვ. ვარშანიძემ, ს. გაიამ, ზ. გიგინეიშვილმა, რ. ასლანოვმა, რ. მგელაძემ, ბ. დიასამიძემ, დ. გოგიტიძემ, გ. შეროზიამ, მ. ხაბაძემ, მ. კობალაძემ (ყველა — ჭიდაობის სკოლა), მ. ბერიძემ („დინამო“). გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ო. მურვანიძე.
(„ლელოს“ კორ.).

საქართველოს
სპორტსმენთა
წარმატება

◆

ლ. გურჩიანი აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებული

ტაშკენტის მახლობლად მიმდინარეობს მეკლდეურთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც უძლიერესი გუნდები მონაწილეობენ.

უკვე დაამთავრეს ასპარეზობა ვაჟებმა. ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები 18 გუნდს შორის III ადგილზე არიან. საქართველოს წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეკლდეურთა სექციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ლ. გურჩიანი. იგი საუკეთესო იყო აბსოლუტურ პირველობაში.

ნ. იოსელიანი იერში

ქალაქ იერში (საფრანგეთი) დამთავრდა ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 20 ქვეყნის 40 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა 11 ტურად.

I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა მ. ლიტინსკაიამ — 9,5 ქულა, II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ნ. იოსელიანმა (ორივე — სსრ კავშირი) და საერთაშორისო ოსტატმა კ. ვრეკენმა (ჰოლანდია) —8,5-8,5.

ი. გერასიმოვას III ადგილი

გდრ-ის ქალაქ გერაში მიმდინარეობს მასპინძელთა და სსრ კავშირის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა. ქალთა შორის 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა მსოფლიოს რეკორდსმენმა პ. შნაიდერმა (გდრ) — 2.15,71. ამ სახეობაში ფინიშთან მეორე იყო შნაიდერის თანაგუნდელი გ. სლაბე —2.19,19, ხოლო თბილისელმა ი. გერასიმოვამ 2.24,93 აჩვენა და III ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს მასპინძლებმა — 63:57.

● ჭადრაკი

„ვარსკვლავთა" ტურნირზე

მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრის დიდ დარბაზში გრძელდება დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. მეტოქეებმა უკვე განვლეს ასპარეზობის ორი მესამედი და ფინიშის სწორზე გავიდნენ.

გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. გეორგიუმ მოუგო ტიმანს. ყაიმით დამთავრდა პორტიშ—გელერის შეხვედრა. 10 ტურის შემდეგ კარპოვს 7,5 ქულა აქვს, კასპაროვს და პოლუგაევსკის — 6-6. სმისლოვს, პორტიშს, გეორგიუს — 5,5-5,5, პეტროსიანს, ბელიავსკის, ანდერსონს — 5-5, ბალაშოვს — 4,5, სმეიკალს —4, ტიმანს, ტორეს და გელერს —3,5-3,5.

დღეს ტურნირის მონაწილეები ისვენებენ. 20 აპრილს გაიმართება მე-11 ტურის შეხვედრები.

● ფეხბურთი

ჭაბუკთა რესპუბლიკური...

დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშების II წრის თამაშები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონების გუნდებს შორის.

შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლება აღმოსავლეთ ზონიდან მოიპოვეს განათლების სამმართველოს სპორტსკოლის, მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების, „შევარდენის", ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და „დინამოს" გუნდებმა (ყველა—თბილისი). დასავლეთ ზონიდან ფინალურ ჯგუფში გავიდნენ: ბათუმის „დინამო", სოხუმის „დინამო" და სამტრედიის „ლოკომოტივი". წილისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: დღეს თბილისის „განათლება" უმასპინძლებს სოხუმის „დინამოს", სამტრედიის „ლოკომოტივი" — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს, მოსწავლეთა ნაკრები შეხვდება თბილისის „შევარდენს". ამ გუნდების განმეორებითი მატჩები მოეწყობა 26 აპრილს. თბილისის დინამოელები საკავშირო პირველობის მატჩში დღეს მიიღებენ ბაქოს „ნეფთჩის", ამიტომ ისინი ბათუმის „დინამოს" შეხვდებიან 22 აპრილს, ხოლო საპასუხო მატჩს გამართავენ 30 აპრილს.

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობის შეხვედრები ორგანიზებულად ჩატარდა, დამაკმაყოფილებელი იყო მსაჯობა. თავი გამოიჩინეს თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის „შევარდენის", ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, სოხუმის „დინამოსა" და სამტრედიის „ლოკომოტივის" გუნდებმა. ბომბარდირთა სიის სათავეში დგანან დ. უგრელიძე (მოსწავლეთა ნაკრები) — 12 ბურთი, გ. გურული (მოსწავლეთა ნაკრები)—11 ბურთი, ზ. გამყრელიძე (თბილისის „ავაზა") — 10 ბურთი.

სამწუხაროდ, კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ ჭაბუკ ფეხბურთელთა მატჩებში არღვევენ წესრიგს, სკოლების ხელმძღვანელები და მწვრთნელები ნაკლებად ზრუნავენ დისციპლინის დამყარებაზე. მწვრთნელებს უმეტესად აინტერესებთ მხოლოდ ქულები და არ აწუხებთ მომავალი ოსტატების აღზრდის პატრიოტული მოვალეობა.

გაგაცნობთ წესრიგის დამრღვევთა ვინაობას: ბ. კვიცარიძე („განთიადი", ქუთაისი), გ. ქორქოლიანი („დინამო", სოხუმი), გ. ურუშაძე („ავაზა", თბილისი), გ. მაზმიშვილი („დილა", გორი), გ. მენთეშაშვილი („შევარდენი", თბილისი), ლ. ჯეჯელავა (134-ე სკოლა, თბილისი), ვ. მუმლაძე („ლოკომოტივი", თბილისი) და სხვ. კიდევ უფრო მკაცრი საყვედურის ღირსნი არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც მინდვრიდან გააძევეს: მ. ჩაჩუა („კოლხეთი", ფოთი), დ. აფაქიძე („ლოკომოტივი", თბილისი), ო. მსტოიანი, ი. თოფურია („ავაზა", თბილისი).

აღმაშფოთებელია თბილისის „ავაზას" წევრის დავით ჩაგრაგაძის ყოვლად უმსგავსი საქციელი. მისი საკითხი უნდა განიხილონ პირველ ყოვლისა თვით კოლექტივში, ხოლო შემდეგ სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე.

მიუტევებელია ცხინვალის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდის მწვრთნელის ა. გაგლოევის უხამსი საქციელი, რომელიც გორის „დილასთან" შეხვედრისას შეგნებულად ხელს უშლიდა მსაჯს თამაშის ნორმალურად ჩატარებაში, თუმცა საამისო საბაბი არ ჰქონია. მწვრთნელის უსაქციელობა ფეხბურთელებსაც გადაედოთ. იმედია, ცხინვალის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ხელმძღვანელობა შესაბამის ზომებს მიმართავს თავაშვებული მწვრთნელის მიმართ. ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებები იმართება მომავალ ოსტატთა გამოვლენისა და აღზრდის მიზნით და არა ცალკეულ მწვრთნელთა პირველობისთვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობენ თბილისის „დინამო" და ქუთაისის „განთიადი". არსებობს საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანება ამ გუნდებში ცალკეულ ფეხბურთელთა გადაცვლის თაობაზე, რაც სავალდებულოა ყველა სხვა კოლექტივისთვის. მაგრამ ამ ბრძანებას ზოგიერთი მწვრთნელი არად აგდებს და საკუთარ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე რესპუბლიკის ღირსების საქმეს. მოვიყვანთ მაგალითს: საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის გუნდის მწვრთნელმა ე. გუგუშვილმა საკავშირო პირველობის კალენდარულ მატჩში მონაწილეობისთვის თბილისის „დინამოს" არ გადასცა ფეხბურთელები მ. სხირტლაძე და ზ. ჭიაბრიშვილი. მსგავსი საქციელის — განმეორების შემთხვევაში მიღებული იქნება მკაცრი ზომები. საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანება უყოყმანოდ უნდა შესრულდეს, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს . კანდიდატები ყველამ დროულად, შეუფერხებლად უნდა მიაწოდოს.

ი. გოგორაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების აღზრდის განყოფილების უფროსი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

1963-64 წლებში დაბადებულნი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„განათ." თბ.	18	13	4	1	46—13	30
მოსწ. ნაკრ.	18	13	1	4	38—11	27
„შევარ." თბ.	18	10	3	5	22—16	23
ახ. ს. სკ. თბ.	18	8	4	6	15—12	20
„დინ." თბ.	17	5	9	3	27—17	19
„ავაზა" თბ.	18	6	6	6	32—33	18
„დილა" (გ.)	17	7	1	9	20—25	15
სპ. სკ. (ცხ.	18	5	4	9	15—27	14
„ლოკ." თბ.	18	2	2	14	15—44	6
134-ე სკ. თბ.	18	2	2	14	16—48	6

1964-65 წლებში დაბადებულნი

„დინ." ბათ.	12	8	4	0	20—9	20
„დინ." სოხ.	12	5	4	3	22—12	14
„ლოკომ." ს.	12	4	6	2	20—18	14
„განთ." ქ.	12	2	6	4	13—7	10
„კოლხ." (ფ.)	11	2	6	3	7—8	10
„გურია" ლ.	12	4	1	7	13—15	9
სპ. სკ. (გაგ.)	11	0	3	8	5—31	3

უმაღლესი ლიგა

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა" და ალმა-ათის „ქაირათს" შორის.

მატჩი მოიგო „ქაირათმა"— 2:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა ჯოხაძემ.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მჭედლიძე, დოჩია, ჭილაია, ქასრაშვილი, ანდღულაძე, კაკილაშვილი, ჯოხაძე, ჟორდანია, კიკნაძე (მეშკოვი), ცავა, ჩელებაძე.

ხუმრობით და იქნებ სერიოზულად...

მისასალმებელი იყო ამას წინათ ტელევიზიის ინიციატივით მოწყობილი ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის წევრებისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრის ტრანსლაცია ჭადრაკის სასახლიდან.

ამ შეხვედრაზე საინტერესო წინადადება წამოიჭრა — ჩვენი საყვარელი გუნდი გავამხნევოთ სიმღერით. მისასალმებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს ის სიმღერები, რომლებიც ახლახან შეასრულეს... ამის თაობაზე საქმიანად გამოვიდა დავით ყიფიანი. მან თქვა, „მრავალჟამიერი" სუფრულია და ქეიფის გუნებაზე თუ დაგვაყენებსო. ისიც დასძინა, სუფრაზე ათი კაციდან ოთხი მაინც მღერის და, ნუთუ 80 ათას მაყურებელში 10 ათასი არ მოიძებნება, სიმღერა რომ აიტაცოს, ფეხბურთელი გაამხნევოს და თამაშის გუნებაზე დააყენოს. ამისათვის აუცილებელი არ არის ახალი სიმღერები შევთხზათ ან ძველს, თუნდაც „მრავალჟამიერს"—სიტყვები „დინამო", „დინამო" მივუსადაგოთ.

მე მგონია, ქართული სიმღერის უძირო არსენალში გამოიძებნება ისეთი, რომელიც თავისი ხასიათით, იუმორით, რიტმით და, თუ გნებავთ, ტემპითაც მოერგება თამაშის განწყობილება-სიტუაციას.

მხედველობაში მაქვს თუნდაც ისეთი ხალისიანი და იუმორით აღსავსე სიმღერა, როგორიც „ცანგალა და გოგონაა".

ტექსტიც სათანადოდ შეეფერება ფეხბურთის თამაშს:

„ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
ფეხის წვერებზე დგება,
ამან რომ ფეხი იტკინოს,
ნეტა ვის დაბრალდება?"

აქ ხომ თამაშის ქართული ხასიათიც არის. რამდენჯერ დაუწერიათ ჩვენსა და უცხოეთის პრესაში, მოცეკვავე ქართველი ფეხბურთელებიო. უცხოეთის პრესაში ლოლობრიჯიძეზე შარჟიც კი იყო დაბეჭდილი, ჩოხიანი და უძიროებიანი ჩვენი ბასა თითის წვერებზე შეეყენებინათ ბურთზე.

ამ სიმღერის დროს შეიძლება იუმორიც მოვიშველიოთ და ტექსტი ოდნავ შევცვალოთ იმის შესაბამისად, როგორი ნიჭი და უნარი შეგვწევს ლექსის წერისა.

მაგალითად: „ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
ბუცის წვერებზე დგება,
ამან რომ ფეხი იტკინოს
„ხუდიას" დაბრალდება".
ან „ამან რომ ბურთი შეაგდოს,
მეკარეს დაბრალდება"...
და ასე შემდეგ.

თუ კარგად შეისწავლის მაყურებელი ამ სიმღერას და ერთხმად იმღერებენ ომახიანად, როგორც მღერიან უცხოეთის სტადიონებზე, მე წარმოდგენილი მაქვს როგორი ეფექტი გადაინაცვლებს სიტყვები „ცანგალა და გოგონა" დასავლეთი ტრიბუნიდან აღმოსავლეთის ტრიბუნაზე.

შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი ხალხური სიმღერა „დოუ-დოუ-ნანა" — რასაც მოჰყვებოდა გამამხნევებელი სიტყვები ჩვენი ფანტაზიის მიხედვით— მაგალითად დოუ-დოუ-დოუ-ნანა, დათომ ბურთი გაიტანა და ა. შ.

შემდეგ „დოუ-დოუ-დოუ-ნანა, ნეტავ ვის ყავს დათოსთანა, ან ხაშასთანა".... და ა. შ.

„ცანგალა და გოგონასა" და „დოუ-დოუ-დოუ"-ს მოტივზე ტაშის აყოლებაც ადვილია და ტექსტის ერთი მუხლის გამოკლებაც. მართალია, მე იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც სუფრაზე სიმღერა აკრძალული აქვს, მაგრამ იმ ათი ათას კაცს, რომელსაც სიმღერა შეუძლია, ტაშს მეც ავაყოლებ.

გიგლა ფირცხალავა,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

პ რ ი ზ ი— „ნორჩ დინამოელს"

თბილისში ამას წინათ გაიმართა სპორტის სასახლის პრიზის გათამაშება მინი-ფეხბურთში, სადაც 1969 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის წარმატებას მიაღწია „ნორჩი დინამოელის" გუნდმა (მწვრთნელი ნ. ამირეჯიბი). გუნდური გამარჯვების გარდა ამ კოლექტივის ფეხბურთელებმა სხვა მხრივაც გამოიჩინეს თავი: ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს ზ. ჯორბენაძე, ფინალურ მატჩში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა დ. გინდაშვილმა, ხოლო ბ. კაცაშვილი ყველაზე უმცროსი იყო ბავშვებს შორის.

სურათზე: „ნორჩი დინამოელის" გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა სპორტის სასახლის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.

კ. შანიძის ფოტო.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ცვლიან მწვრთნელს

თურქეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გამოდის სსრ კავშირის გუნდთან ერთად. თურქმა ფეხბურთელებმა ამას წინათ შესარჩევი მატჩი წააგეს თავიანთ მინდორზე უელსის ნაკრებთან, რის შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუყენეს ახალი მწვრთნელი — ფ. დემირგანი („ბურსასპორიდან"). ამის შემდეგ თურქეთის ნაკრებმა კვლავ წააგო თამაში საკუთარ მინდორზე ჩეხოსლოვაკიის გუნდთან (0:3).

გუნდიდან მიდიან

მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე გფრ-ის „კაიზერსლაუტერნს" დატოვებს 5 ფეხბურთელი — ვენდტი, რიდლი, პირუნგი, კამინკე და მაიერი. ახალი სეზონიდან გუნდში მიიწვევენ სამხრეთკორეელ ჯონ ვონ პარკს, ბიტჰერს („შალკე-04") და აილენფელდს („ბილეფელდი").

გაათავისუფლეს 19 ფეხბურთელი

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ინგლისის „ნოტინგემმა" გაათავისუფლა 19 ფეხბურთელი. იმ მოთამაშეთაგან, რომლებმაც 1979 წელს მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა თასი, გუნდში დარჩა მხოლოდ 6.

დ. მიულერი „შტუტგარტში"

გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთმა კანდიდატმა, 26 წლის დიტერ მიულერმა დატოვა თავისი მშობლიური კლუბი „კიოლნი", სადაც იგი 8 წლის განმავლობაში გამოდიოდა, და „შტუტგარტში" გადავიდა.

გამოსათხოვარი მატჩი

მიუნხენის „ბაიერნისა" და გფრ-ის ყოფილი მცველი, 32 წლის გეორგ შვარცენბეკი ემშვიდობება ფეხბურთს. მისი გამოსათხოვარი მატჩი 2 ივნისს გაიმართება მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე. ერთმანეთს შეხვდებიან „ბაიერნი" და გფრ-ის 1974 წლის ნაკრები.

გუტალსი „სტანდარდში"

ბელგიის „სტანდარდს" ახალი მწვრთნელი ეყოლება — ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი რაიმონდ გუტალსი. მან ამ პოსტზე შეცვალა ავსტრიელი ე. ჰაპელი. ეს უკანასკნელი გადავიდა გფრ-ის „ჰამბურგის" მწვრთნელად.

● საქართველოს მრავალდღიანი

გავლილია 889 კილომეტრი

დამთავრდა საქართველოს ღია პირველობა საგზატკეცილო მრავალდღიან ველორბოლაში. შეჯიბრების ბოლო ორი ეტაპის შემდეგ შეჯამდა საერთო მაჩვენებლები, გამოვლინდნენ რესპუბლიკის ჩემპიონი, სხვა პრიზიორები.

მეშვიდე ეტაპზე ბრძოლები (მარშრუტით თბილისი — ასურეთი — მარნეული — თბილისი, 105 კმ) საინტერესოდ ჩატარდა. ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. მაგრამ დროდადრო იგი შესაძლებლობათა მაქსიმუმს აღწევდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე დაწინაურებას შეეცდებოდა. „გაქცეულს" მთელი ჯგუფი საერთო ძალით ეჭერდა და შემდეგ „ინერციით" კიდევ კარგა ხანს ასე მიიწევდნენ წინ. ამ დღის მსაჯებს ფინიშამდე საქმე არ გაძნელებიათ. მხოლოდ ბოლო მომენტში, როცა რბოლა ერთდროულად მოზრდილმა ჯგუფმა დაამთავრა, მხოლოდ გამოცდილებამ გაარკვია პრიზიორთა ვინაობა.

ეტაპზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ს. გლაზოვი („განთიადი"), რ. წაქაძე (ასკ), რ. იაკოვლევი („ზენიტი"). ყველას დროა — 2:53.0 (უბონიფიკაციოდ). ეტაპზე გუნდური პირველი ადგილი „კოლმეურნეს" ნაკრებმა მოიგო.

მეორე დღეს სარბიელმა რუსთავში, საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის წლიურ ავტოსტრადაზე გადაინაცვლა. აქ მოეწყო კრიტერიუმი 16 წრეზე 16 საშუალედო ფინიშით. გამარჯვება მოიპოვა იაკოვლევმა — 39 ქულა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ ჯ. ცივაძე — 37 და ნ. გოგოჭური — 27. გუნდურ ჩათვლაში წარმატებას მიაღწია „ზენიტის" ნაკრებმა — 5:00.35. „კოლმეურნე" მას 38 წამით ჩამორჩა.

ამის შემდეგ შეჯამდა საბოლოო შედეგები. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა წაქაძე, რომელმაც 889 კილომეტრის გავლას 22:14.10 მოანდომა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ ა. ცხოვრებაძე („კოლმეურნე") — 22:42.48 და ს. გლაზოვი — 22:48.19.

„კოლმეურნეს" ნაკრებმა (მწვრთნელი ნ. ტრეტიაკოვი) მოიგო გუნდური შეჯიბრება — 69:02.43. არმიელებმა მასთან 17.13 წააგეს. მესამე ადგილი დაიკავა „სპარტაკის" ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც შეჯიბრებებისთვის მოამზადა ფ. ჩქარეულმა. გუნდმა უფრო გამოცდილი სპორტსმენებით დაკომპლექტებულ ომსკის, „ზენიტის", რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებების კოლექტივებთან ბრძოლაში საპრიზო ადგილის მოპოვება შეძლო.

ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა. ამაში დიდად დაეხმარა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა ჯგუფი, რომელმაც რბოლას ყველა ეტაპზე „მწვანე ქუჩა" შეუქმნა. ტურნირმა ცხადყო, რომ საგზატკეცილო ველორბოლა სხვადასხვა საზოგადოებებში ერთგვარ წინსვლას განიცდის, მაგრამ ზოგ მათგანში მას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მხოლოდ ამით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ „ლოკომოტივმა" შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ შეძლო.

დასასრულს უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის ჩემპიონის რ. წაქაძის გულმოდგინება. იგი ყველა ეტაპზე მთელი მონდომებით იბრძოდა და შრომაც დაუფასდა.

ი. გოცირიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ეროვნული კომისარი.

* * *

სურათებზე: რ. წაქაძე; ერთ-ერთ ეტაპზე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ველოსპორტი

სამჯერვე...

ვიტყობინებოდით, რომ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე გაიმართა გდრ-ის ველოსიპედისტების ამხანაგური შეხვედრა მასპინძლებთან. პროგრამაში იყო სპრინტი, გიტი 500 მეტრზე და 20 წრეზე ჯგუფური რბოლა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი ვ. ჩევარდოვი ამ შეჯიბრებაში არ გამოდიოდა. მასპინძელთა ღირსების დაცვა მიენდო სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ე. გელაშვილს, გ. დვალიშვილსა და კიდევ რამდენიმე სპორტსმენს.

ყველა სახეობაში პირველობა სტუმრებმა მოიპოვეს. 500 მეტრზე გიტში უძლიერესი გახლდათ მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი ე. რაში — 33,5. გ. დვალიშვილმა II ადგილი დაიკავა — 34,2. ე. გელაშვილმა და ფ. ცოლნერმა (გდრ) III-IV ადგილები გაიყვეს.

საინტერესო გამოდგა სპრინტი. ფინალში გზა გაიკვლიეს რაშმა და გელაშვილმა. მათი „დუელი" გამოცდილი რაშის გამარჯვებით დამთავრდა. III ადგილისთვის ბრძოლაში ვ. კრიგსმა შესძლო დვალიშვილის დამარცხება.

ჯგუფურ რბოლაში (5 საშუალო ფინიშით) აღსანიშნავია ახალგაზრდა თბილისელის მ. სურმავას წარმატება — მან III ადგილი დაიკავა. სურმავას აჯობეს ცოლნერმა და ა. ვაისმა (გდრ).

გუშინ თბილისში დაიწყო იუნიორ ველოსიპედისტთა რესპუბლიკური პირველობა ტრეკზე რბოლაში.

ა. კოტორაშვილი.

სპორტი ცისფერ ეკრანზე

20 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40 დილის ვარჯიში (თბ), 17.30 მოცურავეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: გდრ — სსრ კავშირი (მ), 23.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები. ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩი; **მეოთხე პროგრამით.** 20.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფების გუნდების მატჩის II და III პერიოდი (მ).

21 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40. დილის ვარჯიში (თბ); **მესამე პროგრამით.** 9.05 საჭადრაკო სკოლა; **მეოთხე პროგრამით.** 20.00. ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. მატჩი ფინალური ჯგუფის გუნდების მონაწილეობით. II და III პერიოდი (მ).

22 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40 დილის ვარჯიში (თბ), 23.00 ფეხბურთი. **ევროპის თასების მფლობელთა თასზე: ჰოლანდიის „ფეიენოორდი" — თბილისის „დინამო"** (თბ). შესვენებისას ჰოკეიში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის მატჩის რეპორტაჟი გეტებორგიდან; **მეოთხე პროგრამით.** 20.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩის II და III პერიოდი (მ).

23 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.50 დილის ვარჯიში (თბ), 17.30 საჭადრაკო სკოლა (მ); **მესამე პროგრამით.** 15.35 „სპორტული კლასი" (მ); **მეოთხე პროგრამით.** 20.00 სპორტული პროგრამა. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა—„შახტიორი"; „ზენიტი" — „სპარტაკი" (მ).

24 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40 დილის ვარჯიში (თბ), 23.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი (მ). **მეოთხე პროგრამით.** 20.00 ჰოკეი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩის II და III პერიოდი (მ).

25 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40 დილის ვარჯიში (თბ), 14.35 „სპორტლოტოს ტირაჟები" (მ); **მეოთხე პროგრამით.** 9.40 „საჭადრაკო სკოლა" (მ), 12.25 ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მ), 16.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი (მ), 20.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი (მ).

26 აპრილი. პირველი პროგრამით. 9.40. „ფიზდაჭურვისთვის მოეწყვეთ!" (მ.), 16.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი (მ), 20.00 სპორტული კალეიდოსკოპი (თბ), 20.00 ჰოკეი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი (მ), 00.15 საფეხბურთო მიმოხილვა; **მეოთხე პროგრამით.** 10.30 საკავშირო თასის გათამაშება აკრობატიკაში (მ), 18.25 ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მ).

პანორამა

● მაგიდის ჩოგბურთი

იუგოსლავიის ქალაქ ნოვისადში გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა. მათ სძლიეს ინგლისის ძლიერ გუნდს 3:0, ხოლო შემდეგ ჯგუფურ ტურნირში მოუგეს მსოფლიო ჩემპიონებს იუგოსლაველებს — 3:1 და გაინაღდეს ფინალურ ოთხეულში გამოსვლის უფლება, სადაც ბრძოლას გააგრძელებენ მედლებისთვის. ამავე ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩოგბურთელები, რომლებმაც წინასწარ შეხვედრებში მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს ამჯერად შვეციის გუნდთან — 3:1.

● ჰოკეი

გუშინ შვეციის ქალაქ გეტებორგში გაიმართა ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის პირველობის ფინალური ტურნირის მორიგი მატჩი სსრ კავშირისა და შვეციის ეროვნულ გუნდებს შორის. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

გუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, მეთექვსმეტე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 12 (ტანვარჯიში), 22 (წყალში ხტომა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი), 44 (მოტოსპორტი), 45 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 21 (ცურვა), 25 (ციგაობა), 27 (მშვილდოსნობა).

პიეტრო მენეა

ახალ ამპლუაში

1979 წელს მეხიკოში გაიმართა სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა. მასში მრავალი სახელგანთქმული სპორტსმენი ასპარეზობდა. ოლიმპიურ სტადიონზე იტალიელმა სპრინტერმა პიეტრო მენეამ ადვილად მოიგო „თავისი დისტანცია" — 200 მეტრი და ამას მიუმატა ერთი „ოქროც" 100 მეტრზე რბენაში. ბუნებრივია, მენეა ერთობ პოპულარული სპორტსმენი გახლდათ უნივერსიადაზე და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც შევხვდით მას. საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანისაა, თხელი სახის დახვეწილი ნაკვთებით, ცისფერთვალებიანი. სპორტსმენი ტრიბუნებიდან გულშემატკივრობდა თანამემამულეებს და მთელი გულისყურით სარბიელზე იყო. მაგრამ მიიღო თუ არა საჩუქარი — ოლიმპიური მიშკა, იმ წამსვე „გამოერთო":

—„გრაცია, გრაცია",—გვითხრა, თან თითი ასწია და მრავლისმეტყველად დაუმატა — „მოსკოუ".

გამოჩენილი სპორტსმენი უკვე ემზადებოდა მოსკოვის ოლიმპიადის სტარტებისთვის, თანაც როგორ!

...„მე უკვე აღარ მაქვს სხვა მიზანი, რისთვისაც ეღირებოდა ისე თავდადებით შრომა, როგორც ვშრომობდი მოსკოვის ოლიმპიადისთვის" — ძირითადად ამით ახსნა მენეამ თავისი წასვლა დიდი სპორტიდან.

დიახ, წასვლა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში და ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენი (19,72 წამი) პიეტრო მენეა დაემშვიდობა აქტიურ სპორტს.

პიეტროს ეს ნაბიჯი ბევრისთვის მოულოდნელი იყო. მენეა მთელი ათი წლის მანძილზე მთელი ძალით მიილტვოდა დასახული მიზნისკენ — დაემტკიცებინა, რომ იგი მსოფლიოს უსწრაფესი მორბენალია 200 მეტრ მანძილზე. მან მოხსნა ამერიკელი ტომი სმითის რეკორდი, რომელსაც სპეციალისტები „ფენომენალურს" უწოდებდნენ. მენეამ ის იყო მიაღწია უმაღლეს მწვერვალებს, იგემა დიდების სიამე და აი, მიდის...

„დროს ვერ შეაჩერებ, ჩემი საუკეთესო წლები გავლიე, დამღალა მთელი 12 წლის ყოველდღიურმა ვარჯიშმა, — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ცნობამ იმის შესახებ, რომ მენეა ტოვებს აქტიურ სპორტს, დიდი ინტერესი გამოიწვია იმ საქმის მიმართაც, რასაც ხელი უნდა მოჰკიდოს ცნობილმა სპრინტერმა.

მენეამ გადაწყვიტა გახდეს იმ გუნდის მენაჯერი, რომელიც შედგენილი იქნება ამერიკელი მძლეოსნებისგან და რომელსაც დააფინანსებს იტალიური ფირმა „რობე დი კაპა" (ამ ფირმას, რომელიც უშვებს სპორტულ ტანსაცმელს, თავისი პროდუქციის ნაწილი საბჭოთა კავშირშიც შემოაქვს).

ფირმის ოფიციალურმა პირებმა მენეას მიერ ორგანიზებულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ გუნდის დაფინანსება მოხდება სამოყვარულო სპორტის მოქმედი წესების ფარგლებში. „რობე დი კაპა" აპირებს 2,5 მილიონამდე დოლარის გაღებას აშშ-სა და სხვა ქვეყნებში მძლეოსნურ ასპარეზობათა გასამართავად, რა თქმა უნდა, „თავისი" სპორტსმენების მონაწილეობით.

ეს იტალიური ფირმა ადრეც აწყობდა მსგავს ასპარეზობებს, სადაც გამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები და გარკვეული „შემოსავალიც" ჰქონდა — „რობე დი კაპა" გამოჩნდებოდა საგაზეთო სტატიებში, ტრიბუნებზე — ერთი სიტყვით, რეკლამა!

ნათელია, რომ ამიერიდან ფირმის მთავარი სარეკლამო ფიგურა გახდება ლეგენდარული პიეტრო მენეა. თვით სპორტსმენი ფიქრობს, რომ ამით იგი სპორტულ ცხოვრებას გააგრძელებს, თუმცა ახალ ამპლუაში.

მენეა იქნება გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც გაარკვევს თუ რომელი სპორტსმენი სად და როდის უნდა გამოვიდეს საასპარეზოდ. ფაქტიურად მენეა უკარნახებს მათ სეზონის განრიგს და მოგზაურობათა მარშრუტს.

„მენეას გუნდში" ირიცხებიან ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიცაა თარჯმრბენები ედვინ მოზესი და როდ მილბერნი, სპრინტერი სტივ უილიამსი, სიმაღლეზე მხტომელი ბენ ფილდსი. გუნდის მწვრთნელი იქნება წარსულში ცნობილი სპრინტერი ტომი სმითი. დანარჩენ სპორტსმენთა მონაწილეობა დამოკიდებული იქნება მძლეოსნობის შესაბამის ეროვნულ ფედერაციებთან მოლაპარაკების შედეგებზე. ერთადერთი აუცილებელი პირობაა ასპარეზობებში მონაწილე სპორტსმენთა გამოსვლა მხოლოდ ფირმა „რობე დი კაპას" ტანსაცმელში.

ა. ბარქაია.

* * *

სურათზე: პ. მენეა ასპარეზობის დროს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

დღეს თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. I ჯგუფი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „კახეთი" (თელავი). დასაწყისი 12 ს.

ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. ასკ-ს სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო). 16 ს.

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „სინათლეს" სტადიონი. „განათლება" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 14 ს. ასკ-ს სტადიონი. მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრები—„შევარდენი" (თბილისი). 14 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 02189.